დანართი N2
„დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - კოლეჯის „განთიადი“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - კოლეჯი „განთიადი“ (შემდგომ - „კოლეჯი“) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის დამფუძნებლები არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომ -დამფუძნებლები).

2. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.

3. კოლეჯი საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს ახორციელებს დამოუკიდებლად.

4. კოლეჯს აქვს დამოუკიდებული ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. კოლეჯის მისამართია: ქ. გორი, ბესიკის ქ. N2

6. კოლეჯის ელექტრონული ფოსტის მისამართია: collegegantiadi@gmail.com.

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. კოლეჯის მიზნებია:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება.

ბ) ტრენინგ-კურსების განხორციელება, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.

გ) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

დ) პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2. კოლეჯს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებასთან (მათ შორის კოლეჯის მომდევნო ავტორიზაციასთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის, ადგილის/ფართის ცვლილებასთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები განახორციელოს მხოლოდ სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის მოპოვების შემდგომ.

3. თავის მიზნების მისაღწევად კოლეჯი:

ა) უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს, მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;

ბ) ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ქმნის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობას, თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;

გ) ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

დ) ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;

ე) ქმნის ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობებს; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია;

ვ) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;

ზ) თანამშრომლობს საქართველოს და საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

თ) პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, ხელს უწყობს საქართველოს და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და უცხო ქვეყნების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;

ი)ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. კოლეჯის მართვის ორგანოები და კოლეჯის სტრუქტურა

კოლეჯის მართვის ორგანოებია კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება.

მუხლი 4. კოლეჯის დირექტორი

1. კოლეჯის დირექტორს (შემდგომ-დირექტორი), თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 5 წლის ვადით. პირი ერთი და იმავე კოლეჯის დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) არ არის ნასამართლევი;

გ) მიღებული აქვს უმაღლესი განათლება;

დ) აკმაყოფილებს კოლეჯის დირექტორის სტანდარტს.

3. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

4. კოლეჯის დირექტორი არის კოლეჯის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. დირექტორს ჰყავს მოადგილე (მოადგილეები). დირექტორის მოადგილეთა რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯის

სამტატო ნუსხით. დირექტორი ახალი დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორის მოადგილეს (მოადგილეებს) და განსაზღვრავს მის (მათ)ფუნქციებს.

5. მოადგილე დირექტორის არყოფნისას ასრულებს მის მოვალეობას.

6. დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ის გადადგა თანამდებობიდან;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) ის სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ის ზედიზედ 4 თვის განმავლობაში ვერ ასრულებს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით ან კოლეჯის წესდებით (დებულებით)განსაზღვრულ უფლებამოსილებას;

ე) ის ჯეროვნად ვერ ასრულებს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით ან კოლეჯის წესდებით (დებულებით) განსაზღვრულ უფლებამოსილებას;

ვ) ის ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის დირექტორის სტანდარტს;

ზ) ის გარდაიცვალა.

მუხლი 5. კოლეჯის დირექტორის ფუნქციები

1. კოლეჯის დირექტორი:

ა) ახორციელებს კოლეჯის მართვას;

ბ) წარმოადგენს კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობებში;

გ)კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების,მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების,პროფესიული მომზადების პროგრამების,პროფესიული გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების,ტრენინგ-კურსების შემუშავების პროცესს და ამტკიცებს მათ;

დ) კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების

პროგრამების,პროფესიული გადამზადების პროგრამების და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების,ტრენინგ-კურსების განხორციელების პროცესს;

ე) დამფუძნებელთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს;

ვ) დამფუძნებელთა საერთო კრებასთან შეთანხმებით ამტკიცებს სამტატო ნუსხას და სახელფასო ფონდს, ასევე, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, კოლეჯის ფუნქციონირების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობათა დასახელებებს, რაოდენობას და სახელფასო ფონდს;

ზ) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებას;

ი) არა უგვიანეს პირველი თებერვლისა, აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს დამფუძნებელთა საერთო კრებას გაცნობის ან/და განხილვის მიზნით კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;

კ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, ხოლო ისეთი გარიგებებს, რომელთა ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს, დებს კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრების თანხმობით;

ლ) წარმართავს და ზედამხედველობს კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს;

მ)ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება

1.კოლეჯის საქმიანობის საზედამხედველო ორგანოა დამფუძნებელთა საერთო კრება. დამფუძნებელთა საერთო კრებაში თითოეულ დამფუძნებელს აქვს ერთი ხმის უფლება.

2.კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

3.კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7. დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ მოწვევის წესი და პროცედურა

1. დამფუძნებელთა საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს დამფუძნებელს, კოლეჯის დამფუძნებელთა კრებას ან/და კოლეჯის დირექტორს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია დამფუძნებელთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება და ასევე, ინფორმაცია კრებაზე განსახილველ საკითხებზე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ან საჭიროებისამებრ დაუყოვნებლივ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუგზავნოს თითოეულ დამფუძნებელს.

3. ისეთი საკითხების განხილვისას, რომლებზეც გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული დაუყოვნებლივ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადისგან განსხვავებულ ვადაში, გადაუგზავნოს დამფუძნებელთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება და ასევე, ინფორმაცია კრებაზე განსახილველ საკითხებზე თითოეულ დამფუძნებელს, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

4. დამფუძნებელთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება დამფუძნებელთა საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5. დამფუძნებლები ელექტრონული ფოსტის საშუალებით იღებენ გადაწყვეტილებას:

ა) დამფუძნებელთა საერთო კრებაზე განსახილველი საკითხის ელექტრონული ფოსტის საშუალებით განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ;

ბ) დამფუძნებელთა საერთო კრების მოწვევის შესახებ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;

7. დამფუძნებელთა საერთო კრებასთან დაკავშირებით სხვა საკითხები რეგულირდება წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ძ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დამფუძნებელთა საერთო კრების მუშაობის წესით.

მუხლი 8. კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრების უფლებამოსილებები

1.კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება:

ა) ზედამხედველობს კოლეჯის დირექტორის საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს კოლეჯის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები;

გ) კოლეჯის.დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს/აზუსტებს კოლეჯის ბიუჯეტს;

დ) თანხმობას აძლევს კოლეჯის დირექტორს ძირითადი სტრუქტურული ერთეულების შექმნაზე და გაუქმებაზე;

ე) ახორციელებს კოლეჯის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლს;

ვ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას სესხის აღებაზე;

ზ) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას თავდებობაზე;

თ) ითანხმებს კოლეჯის დირექტორის მიერ წარმოდგენილ საშტატო ნუსხას და სახელფასო ფონდს, ასევე, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, კოლეჯის ფუნქციონირების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობათა დასახელებებს, რაოდენობას და სახელფასო ფონდს;

ი) კოლეჯის დირექტორს აძლევს თანხმობას ქონების შეძენასა და გასხვისებაზე, ასევე ითანხმებს სხვა გადაწყვეტილებებს დაკავშირებულს კოლეჯის ქონებასთან, თუ ისინი სცილდება ამ წესდების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კოლეჯის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

კ)უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს კოლეჯის არამართლზომიერი გადაწყვეტილება;

ლ) აძლევს თანხმობას კოლეჯის დირექტორს ისეთი გარიგებების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს;

მ) ამტკიცებს დამფუძნებელთა საერთო კრების მუშაობის წესს.

მუხლი 9. კოლეჯის დაფინანსება

1. კოლეჯის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ვაუჩერული დაფინანსება/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება;

ბ) პროგრამული დაფინანსება;

გ) მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება;

დ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ვ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები,

ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. კოლეჯის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში.

3. კოლეჯის სახსრების განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მთლიანად ხმარდება კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. კოლეჯის სახსრების გამოყენება სხვა მიზნებისათვის აკრძალულია.

მუხლი 10. კოლეჯის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

კოლეჯის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

დამფუძნებელთა ხელმოწერები:

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
(ს/კ: 202051224)
მინისტრის პირველი მოადგილე - ალექსანდრე წულაძე (პ/ნ: 01017021764)

Aleksandre Tsuladze 01017021764

Digitally signed by Aleksandre Tsuladze
Date: 2024.02.01 14:20:15

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ს/კ: 218076542)

კანცლერი - გიორგი ხორბალაძე (პ/ნ: 43001003668)

Giorgi Khorbaladze

Digitally signed by Giorgi Khorbaladze
Date: 2024.01.18 18:41:43 +04'00'